უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 5

2016 წ. "18" 01

ქ.თბილისი

შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 201954956) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1150-ით.
2. შპს ევროპოს სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის №1 სხდომის ოქმის მე-5 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
თინათინ ბრეგვაძე

დანართი

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	1. ინგლისური ფილოლოგია; 2. კომპიუტერული სისტემები და ქსელები; 3. პროგრამირება და ვებ დეველოპმენტი; 4. სამართალი; 5. საერთაშორისო სამართალი; 6. საერთაშორისო ურთიერთობები; 7. ფსიქოლოგია; 8. ფინანსები და საბანკო საქმე; 9. ბიზნესის ადმინისტრირება; 10. ტურიზმის ადმინისტრირება; 11. ფარმაცია.	1. ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი; 2. ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში; 3. ინფორმატიკის ბაკალავრი; 4. სამართლის ბაკალავრი; 5. საერთაშორისო სამართლის ბაკალავრი; 6. საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი; 7. ფსიქოლოგიის ბაკალავრი; 8. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში; 9. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი; 10. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში; 11. ფარმაციის ბაკალავრი.
	1. სამართალი;	1. სამართლის მაგისტრი;

მაგისტრატურა	2. მენეჯმენტი.	2. ბისზნეს ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში.

ერთსაფეხურიანი	1. სტომატოლოგია; 2. სტომატოლოგია (ინგლისურენოვანი); 3. დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამა.	1. დიპლომირებული სტომატოლოგი; 2. დიპლომირებული სტომატოლოგი; 3. დიპლომირებული მედიკოსი.

№	პროგრამის დასახელება	კრედიტების რაოდენობა
1	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	60